20 ოკტომბერს (1 ნოემბერს) 1867. № 42. მეორე წელიწადი.

გაზეთის ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:		გაუგზავნელათ:
ერთის წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევრის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება" გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება:
ტფილისში „დროების" რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ".
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „დროებაზედ" ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება პირველისავე ნუმრიდამ.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების" ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

შინაარსი. — მმართებლობის განკარგულება: ბრძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში. ტფილისის სამკურნალოს დირექციისაგან.—დროების კორრესპონდენცია.—პოლიტიკა: ანგლია, ფრანცია, ავსტრია, იტალია, საბერძნეთი და მეხიკა.—ტელეგრამმები. სალიტერატურო ნაწილი: ვაი ჭკუისაგან.

მმართებლობის განკარგულება.

ბრძანება კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოში.

1867 წელს, 16 სექტემბერს. ოლიანდას, რომელიც მდებარებს ყირიმის სამხრით ზღვის პირად. წლოვანებით დამსახურებისაგამო მიეცემა: კოლლეჟსკი სოვეტნიკს ერევნის გიმნაზიის დირექტორს, რომელიც მმართავს ტფილისის რეალურს გიმნაზიას, იოსებ პენჩინსკის სტატსკი სოვეტნიკობა, 1867 წლის 1-ლს იანვრიდგან. ტფილისის პირველის რიგის ქალების სასწავლებელის დირექტორს, ნადვორნი სოვეტნიკს ვლადიმირ ქელიხოვსკის კოლლეჟსკი სოვეტნიკობა, აგრეთვე უწინდელის ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მმართველს, თ. ნიკოლოზ აბაშიძეს, 9 ნოემბრიდგან, მესამე მეჟევის კამისიის სამსაჯულო წევრს თავს-მჯდომარეს გაბრიელ ხატისიანს, კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის სამმართველოს უფროს სტოლონაჩალნიკს, თავადს გრიგოლ ბებუთოვს, 1864 წლის 16 იანვრიდგან. კავკასიის ნამესტნიკის განსაკუთრებითის მინდობილების ჩინოვნიკს პაველ მელიქბეგლაროვს. ნადვორნი სოვეტნიკობა მიეცემათ: კოლლეჟსკი ასსესორებს: ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმის სასამართლოში წევრს აზნაურობიდგან, თავადს ერასტი ჩოლოყაშვილს, 1864 წლის 17 ნოემბრიდგან, 8 მეჟევის კამისიის სამსჯავრო წევრს, თავს-მჯდომარეს ნიკოლოზ ზუბალოვს, 24 აგვისტოდგან, ტფილისის ქალაქის უწინდელის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში, უფროსს საქმის მწარმოებელს, თავადს ლევან ბარათაშვილს, 9 დეკემბრიდგან, ტფილისის უეზდის ნაჩალნიკს, თავადს იოსებ თუმანიშვილს, 6 სექტებრიდგან. კოლლეჟსკი ასსესორობა მიეცემათ: ტიტულიარნი სოვეტნიკებს: კავკასიის აქეთის პრიკაზის დირექტორს გაბრიელ სულხანიშვილს 29 იანვრიდგან, ტფილისის სისხლის სამართლის და სამოქალაქოს სამსჯავროს მდივანბეგს, თავადს იოსებ ციციშვილს 1861 წლის 6 თებერვლიდგან. ნუხის უეზდის მკურნალს, მიხაილ სულხანიშვილს 23 აგვისტოდგან, ბაქოს უეზდის ექიმს, დავით ამიროვს, 1863 წლის 23 მარტიდგან. ტიტულიარნი სოვეტნიკობა მიეცემათ უეზდის ექიმებს: შორაპნისას ნიკოლოზ ჩიგიანოვს, 31 დეკემბრიდგან. კავკასიის სამკურნალო ნაწილის სამმართველოსთან შტატს-გარეთ მდგომარეს გრიგოლ ფონდოევს 1861 წლის 18 სექტემბრიდგან. კოლლეჟსკი სეკრეტრობა მიეცემათ: კავკასიის აქეთის პრიკაზის დირექტორს დიმიტრი მგალობლიშვილს 1866 წლის 8 ნოემბრიდგან; უეზდის სამსჯავროს ზასედატლებს: შუშისას ალა-ბეგ ყალანთაროვს 1865 წლის 8 ივნისიდგან და ტფილისისას გაბრიელ ლეინიაშვილს 1861 წლის 25 მარტიდგან. კოლლეჟსკი სეკრეტრობა მიეცემათ: შუშის უეზდის მსაჯულის თანამდებობის აღმასრულებელს, ივანე პოლტარაცკის 1866 წლის 5 იანვრიდგან, სამეგრელოს, სვანეთის და სამურზაყანოს თავად-აზნაურობის გვარების ცნობაში მოსაყვანათ რომ კამისია დაწესდა, იმის სეკრეტარს, პეტრე ჩარექოვს 1865 წლის 9 ივნისიდგან. ზემოხსენებულის კამისიის უფროსს მთარგმნელს, კოლლეჟსკი რეგისტრატორს ალექსანდრე ჭოლოშვილს მიეცემა გუბერნსკი სეკრეტრობა. კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის სამმართველოს დეპარტამენტის საკანცელარიო ჩინოვნიკებს ივანე ყორღანოვს და თავადს არღუტინსკი-დოლგორუკოვს მიეცემათ კოლლეჟსკი რეგისტრატორობა, ტფილისის სამკურნალო სამმართველოში ჩაირიცხება კავკასიის მოწაფე, მოსკოვის უნივერსიტეტში კურს-დასრულებული, ღირსებით დოქტორი მედიცინისა მრევლოვი (13 მარტიდგან).

ხელმოწერილია: კავკასიის ნამესტნიკი,
გენერალ-ფელდცეიხმეისტერი
მიხეილი.

დირექცია სამკურნალოისა (лечебницы), რომელიც ტფილისის მოქალაქეებმა დაარსეს სახსოვრად 4-ის აპრილის, საყოველთაოდ აცხადებს, რომ ეს სამკურნალო არის გაღებული ყოველდღე 8 საათიდგან 12 საათამდე, კვირა-დღეებს გარდა. რვა საათიდგან ათამდე მიიღებენ კაცებსა, ათ საათიდგან თორმეტამდე ქალებს და ყმაწვილებს. თვითონ სამკურნალო იმყოფება სადოვის ქუჩაზე, შადინოვის სახლში.

„დროების" კორრესპონდენცია.

ცხინვალი. სოფელი ცხინვალი მდებარეობს გორის უეზდში, ჩრდილოეთის მხარისაკენ. იმისი მდებარეობა ბევრით ემსგავსება ტფილისის ქალაქის მდებარეობასა, ასე რომ მარჯვნივ და მარცხნივ აქვს მაღალი მთები, ამ მთებს საშუალ არის ჩავარდნილი ადგილი და შუაზედ მოდის მდინარე დიდი-ლიახვი. მარჯვენივ რომ მთა არის, იმ მთაში გადმოდის სალა კლდეში მაღლიდამ, როგორც მილით, იმ ნაირი გამოყვანილი წყარო და სხვებიც მრავალნი იქვე ადგილებში ამოდიოდან წყაროები. ზაფხულში ძალიან ციები და ზამთარში თბილები. აგრეთვე მაისიდგან დაწყებით ვიდრე აგვისტოს თვის გასვლამდის ქვებს შუა ამოდის ძალიან მაგარი ყინული: ესეც მოწმენდილი ჰაერი და სიცხე როცა არის ხოლმე; ხოლო ღრუბლიან დღეებში კი არც წყალია და არც ყინული.—სდგას სხვა და სხვა ნაირი ხილები, ტყე, საწვავი შეშა, ფიჩხი, და არიან გამართულნი სანახშირეები. მარცხნივ მთაში გამოდიან აგრეთვე წყაროები, სადაც არიან დასახლებული ახლად მოსული ოსები. აქ არის კიდევ სხვა და სხვა ხეხილები, სახლის სახმარი, მუხების და წიფლებისა საფიცრე ხეები; აგრეთვე საწვავი შეშა და ვენახის მოსახმარისი ყველა ნაირ მასალა და სანახშირეები.

მდინარე ლიახვი ჰყოფს ცხინვალს ორ ნაწილად: დასავლეთის მხრივ უფრო მრავალი მცხოვრებნი არიან, აღმოსავლეთისკენ კი უფრო ნაკლებნი. შუა ადგილას არის დიდი ხიდი, ორ თაღად გადასული, აღმოსავლეთისკენ ქვითკირის თაღით, დასავლეთისკენ დიდი ფიცრის შეილდით გატანილი, იმიერ და ამიერ ქვითკირით ამოყვანილი.

მდინარე ლიახვი არის შეიდ ნაწილად (რუებათ) გაყოფილნი: 1. რუ, გამოყვანილი აღმოსავლეთის მხარეს, გადმოუვლის ვენახების თავში და რწყავს ვენახებსა; 2-რე და 3-მე აბრუნებს წისქვილებსა, რწყავს ვენახებსა და ბაღებსა. ხიდს გაღმით—დასავლეთის მხრივ: რუ 1-ლი, გადის ცხინვალის ხიდის ძირიდგანვე, აბრუნებს წისქვილებსა, რწყავს მრავალს ვენახებსა და მიწებსა. ამ რუზედ არის დადგმული სახლი ურიებისაგან, რომელსაც აბანოდ ხმარობენ, აგრეთვე არის ჩალხი გამართული და გადააქვს წყალი არაყის ზავოდშია.

2-რე,—გადის შუა ბაზარში.

3-მე,—გადის ცხინვალის ზემო მცხოვრებლებთ საშვალ. აქედამ ჩამოდის, თავ დაღმა, დიდის ლიახვისაკენ, ვენახებში წყლები, ხუთად გაყოფილები თავიდამ დაწყებით ბოლომდის. შიგა-და-შიგ ყველა უბნებში მიდის დამმხროთა და ხმარობენ ყველანი მცხოვრებნი სიმარჯვითა.

4-ხე,—გარეთ ცხინვალისა, რწყავს სახნავს მიწებსა და ვენახებსა.

ცხინვალს ჰაერი აქვს კარგი, მწყნარი და შეზავებული: არც ძლიერ ცივი, და არც ძლიერ ცხელი, ამისთვის მოდის მოსავალი, ყოვლის ფრისა, კარგი ხეხილი, ყურძენი, პური და სხვანი. თუმცა კავკასიის მთა ახლოსა აქვს, მაგრამ, აქეთ-და-იქით მთებს კალთებით უჭირავთ. საშუალ რადგან დავარდნილი ადგილია, სიცივეს და თრთვილს თავს აელებს; და თუ იშვიათად მოხდება ამ სოფლის დათრთვილვა, ისიც მაშინ, როდესაც მოვა ჯავახეთის მთაზედ დიდი თოვლი და გაზაფხული ცივს ჰაერს დაიჭერს; მაშინ, რადგანაც პირ-და-პირ შეჰყურებს, იმან იქნება დაჰკრას და დაათრთვილოს. სეტყვას კი უფრო აცილებენ თავისი ამიერ და იმიერი მთები.

სულ მცხოვრებნი იქმნებიან ხუთას კომლამდის: სამის სარწმუნოებისანი: მართლმადიდებლისანი, (ქართველნი) გრიგორიანი (სომეხნი) და ებრაელნი (ურიები). ქართველნი არიან ასოცი კომლი (თუმცა და ზედვე არიან მიკრულნი ზოგიერთი სოფლები, მაგრამ სხვა და სხვა სამრევლოთ არიან დაყოფილნი და არც მოწერილ არიან ცხინვალზედ, ამისთვის არ ვათვლი იმ მცხოვრებლებთა); სომხები არიან ას ოთხმოც კომლამდის და დანაშთენნი არიან ურიები.

თვითოეულს ამ მცხოვრებლებთაგანსა აქვსთ თავ-თავისთვის ვენახები, უმეტეს ნაწილებთ ორ-ორი, სამ-სამი და ზოგს მომეტებულებიცა, კარგათ ქვის კედლებით გამაგრებულები, ხე ხილით შემკულები, და შიგ აქვსთ ქვითკირის მარნები დადგმულნი. გარდა ბაზრის ნაწილისა, უმეტესი ნაწილი სახლები სდგანან თავ-თავისის ვენახების გვერდით. სომხები კარგათ და მშვენიერად უვლიან ვენახებს, მოსდით მრავალი ხილი და ღვინო, ასე რომ კავკასიის მთას აქეთ რაც მცხოვრებელნი ოსები არიან, მიცვალებულებისათვის თვითოეული შემძლებელი ოსი იყიდის ოცს კოკას, თუთხმეტს, და ღარიბიც ათს კოკას მაინცა. (ღვინის სასყიდავი თუნგი მუშაობს ბაზრის ექვს ჩარექიანი). ამ მთის ხალხთ ყველას აძლევენ, და თითქმის გორის ქალაქის მიკიტნებზედაც ჰყიდიან ხოლმე. ცხინვალის მცხოვრებლები არ გავლენ არსად თავიანთი ოჯახისთვის ღვინის სასყიდლათა, ჰყიდიან ტფილისის ქალაქის ბაყლებზედ იქვე ადგილობრივ მრავალს ხეხილსა, და ქალაქშიაც ჩამოაქვსთ გასასყიდლათ და ამით სარგებლობენ ყველა მცხოვრებლები. ურიები დგანან ერთს მხარეს სამხრეთისაკენ, აქვსთ ხუთი სალოცავი და მეექვსესაც ახლა აშენებენ. ქართველებს აქვსთ ხუთი ეკკლესია სხვა-და-სხვა უბნებში, სომხებთა აქვსთ ერთი ეკკლესია კარგი და მოზრდილი. ამ ცხინვალსა აქვს დიდი მაზრა, კავკასიის მთის აქეთი დიდის-ლიახვისა და პატარა-ლიახვის ოსები სულ იქ მოდიან სავაჭროთა, სხვა და სხვა სოფლებიდამაც მოდის მრავალი ვაჭარი. მაისის თვეში არის ხოლმე ორი დიდი იარმურკობა, სადაცა მოვა გასასყიდავათ მრავალი ხარი, ძროხა, ცხენი, სხვა და სხვა პირუტყვები და სხვანი.

ბაზარი არის სხვა და სხვა ქუჩებზედ გამართული, ერთიანი დიდი ბაზარი არის გალავანს შიგნით ბაზაზებისა, საწერილმანოებისა და მიკიტნებისაცა, სადაც ვაჭრობენ სულ სომხები. გალავანს გარეთ არის ბაზარი ურიების ვაჭრებისა და სომხებისაც. ამ გვარათ სომხები და ურიები სულ ვაჭრები არიან, და მდიდრებიცა, აქვსთ სახლებად ქვითკირის ნაშენობაები, და გარეშემო სოფლები არიან მათგან ძლიერ დავალიანებულები,—უჭირავთ გირაოთა მათი სახნავი მიწები, ყურძნის ვენახები და სასარგებლოთაც ბევრი აქვსთ გაცემული. მხოლოდ ქართველები კი ისევ მისწოლიან თავიანთ მამა-პაპურს გუთანსა და ურემსა. დახედეთ ჩვენს უბედურებასა, როგორ დავარდნილნი არიან ამ ნაირს სავაჭრო ადგილს მცხოვრებელნი ქართველები. ვისაც ვაჭრობის შნო აქვს, ისიც შესული არის სომხის ფულზედა და ცხოვრობს იქიდამ. ამასთანავე განათლება მცხოვრებლებისაცა უფრო იმყოფება სომხებსა და ურიებშია. აი როგორა. სომხებსა ჰყავსთ ფასით დაჭერილი თავიანთის შვილების მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ქართულს და სომხურს კითხვას წერას, და ანგარიშსა. რადგანაც ვაჭრობის ცოდნა საჭირო არის და გამოსადეგიცა იმ სოფელშია, ამისთვის ზოგი იქვე იჭერს დუქანზედ და ავაჭრებს, ზოგიც ტფილისის ქალაქში გზავნის და იქ მდიდრდებიან. აგრეთვე ურიების ხახმები სულ-ყველა ურიების შვილებს ასწავლიან თავიანთს სჯულს, კითხვას და წერას, ქართულს მხედრულს კითხვას და წერას. ესრეთ იზრდებიან მათი შვილებიც გამოსადეგად. ქართველები ამით ჩაცვივნულ არიან სიღარიბეშია, რომ არ მიჰყოლიან არც ვაჭრობასა და არც წიგნის სწავლასა. თუმცა და მთავრობის ბრძანებით გლეხების მოსამართლეების აღმორჩევა ძალიან კარგი და გამოსადეგია, და კიდეც არიან იქ მცხოვრებელთაგანნი ქართველები მოსამართლეებად აღმორჩეულნი (პირველი მამასახლისი ქართველი არის) მაგრამ უსწავლელია და ხელის მოწერაც არ იცის და სხვა მოსამართლეებიც, ვინც არიან ქართველებისა, ისინიც დაბრკოლებულნი არიან თავიანთის ამ-

ხანაგებისაგან. სომხები და ურიები მდიდრები არიან ამორჩეულნი მოსამართლეებათა, სწავლაც რომ არა ჰქონდეთ იმათა, მათ სიმდიდრეს პატივს სცემენ და შიშიც აქვსთ; ამისთვის საზოგადო შკოლა არ არის გახსნილი, თუმცა იყო პატარა ხანს, მაგრამ ისიც მოიშალა მათის დაუდევნელობითა. აგრეთვე არც მაღაზია აქვსთ, ამიტომ უფრო არ გახსნეს მაღაზია, რომ გარეშემო სოფლებში ყველგან გაკეთდა და ცხინვალის ვაჭართაგან აღარ აიღებენ სესხათა, როდესაც ყველა ვაჭართა აქვსთ თავ-თავისთვის პურის მაღაზია, ის დარჩებათ იქვე გაუყიდავი და სასარგებლოდ გაუვალებელი და ისევ უნდა გაასაღონ იმავე სოფელს ცხინვალში ცხოვრებელთა ღარიბთ ხალხზედა. ქართველნი ამით არიან დაჩაგრულები, რომ არც წინამძღოლელნი მოსამართლეები ზრუნვენ მათის სასარგებლო საქმისა და უმჯობესის ცხოვრებისათვის და არც თვით მეცადინეობენ, რომლითაც ამოვიდნენ საუკუნო მწუხარებისა და სიღარიბისაგან.

ეს ცხინვალი ყოფილა დიდის ხნიდგანვე სავაჭრო ადგილი და მრავლის ხალხის შეკრებილება ყოფილა ხოლმე, ამისთვის დღესაცა უძახიან ოსები ამ ცხინვალს „კრებასა“, რადგანაც გორის უეზდის სოფლებზედ ყველაზედ წარჩინებული არის, ამისთვის, როდესაც მობძანდა განსვენებული კავკასიის ნამესტნიკი ვარანცოვი, მაშინ იმანაც ძლიერ მოიწონა; ამისთვის თვით გააკეთებინა ახალი ხიდი, რომელიც ზემოთ ავსწერე. აგრეთვე ქალაქიდამ უნდოდა, რომ რუსეთის გზა ზედ ცხინვალზედ გაეტარებინა. ამისათვის დააწყებინა გზის კეთება ცხინვალის გაღმა, გამოღმაც გააკეთებინა. და იქედამ ზევით მთამდის ორმოცდაექვსი ვერსტი გასჭრეს და გააკეთეს კიდეცა. მაგრამ იმ გზაზედ არის მიწაც ზვავიანი, და მთებიც თოვლით ზვავიანები, თუმცა და გზები ზევიდამ ხეებით დახურეს, მაგრამ არ დააყენა ისიცა ზვავმან. ამით დარჩა ის გზა უბედურებისა მებრ ჩვენისა გაუკეთებელი. ეს გზის მაჩვენებლების ბრალი იყო, თორემ როგორც მე ვიცი გზა, თუ იმაზედ ეკეთებინათ არც მიწის ზვავის ადგილია, არც თოვლის საზვავე მთა არის, რომ გზები წაეხდინათ. აგრეთვე სტანციების ასაშენებლად ხეც და ქვაც ბევრი არის, და ცხენებისთვისაც თივა მრავალი, ვაკეც და ადვილი საკეთებელიცა.

იოსებ მეფემიაშვილი.

1867 წელს,
10 ოკტომბერს.

პოლიტიკა.

ანგლია. ლონდონი, 26 სეკტემბერს (8 ოკტომბერს). მმართებლობას ფენიელების საქმე აფიქრებს; ისინი თან და თან უფრო ძლიერდებიან. იმათმა შეთქმულობამ ამ უკანასკნელს დროში ისეთი მიმართულება მიიღო, რომ თუ წინანდელი შეთქმულობისთანათ ბოლო ვერ გაატანა, მმართებლობას მაინც შეაწუხებს, და ანგლიის საზოგადოების აზრზედ ცუდი გავლენა ექნება. ფენიელებმა მარშან ჩესტერში რომ ვერა გააწყეს რა, მერმე ლონდონში დაიწყეს თავიანთი საქმე. ლონდონში და სხვა ანგლიის დიდ ქალაქებში ბევრი ირლანდიელები სცხოვრობენ და ამისათვის იმათი საქმე არ შეიძლება ისე მოისპოს, რომ მართლებიც არ დაისაჯნენ. წარსულს კვირებში შუადღისას ორი ფენიელი პოლლი და დიზი ძალდატანებით განათავისუფლეს. სამოქალაქო და სამხედრო მთავრობისადმი მრავალმა გვარმა წინააღმდეგობამ დაგვარწმუნა, რომ თვითონ დიდის ბრიტანიის შუაგულ არის დიდი და ძნელათ მოსასპობელი შეთქმულობა. ამ დღეებში ორი ვოლონტერების დასტა ჯარი ელოდა ფენიელების თავსდაცემას, აგრეთვე ტოუერის ციხის მცველებიც მთელი ორი დღე საბრძოლათ მომზადებულები იდგნენ, და ტუსაღები საპყრობილეში ბევრი ყარაულებით გადაჰყავდათ. პოლიციამ რამდენსამე ადგილას შეიარაღებული ყარაულები დააყენა. ჩრდილოეთი ანგლიიდგან ისეთი ხმები ისმის, რომ ეს პოლიციის სიფხიზლე მართლაც საჭიროა. რკინის-ქარხნებში და გემების საშენებელს ადგილებში ფენიელების მოძრაობა შეიმჩნია, მაგალითებრ: რკინის მადნებთან დერლელის და ნორტუმბერლანდის მაზრებში ღამღამობით სამხედრო ვარჯისობაში არიან—იარაღის ხმარებას სწავლობენ; ბერვიკში 5 ოკტომბერს, ვოლონტერების იარაღის დატაცებას აპირებდნენ, მაგრამ ვოლონტერებმა შეიტყეს ესა და იარაღი თავიანთ სადგომსახლებში წაიღეს. მილიციის დასტა, რომელსაც საზღვარზედ მყოფი ყარაულებიც შეუერთდნენ, გატენილი თოფებით და ზარბაზნებით კაზარმაში გამაგრდნენ. ფენიელებმა იმათი თავს დასხმა ველარ გაბედეს და შემდგომისთვის გადასდვეს ბრძოლა. ეს ძალიანი საქმეა, რომ პოლიცია ღამღამე, რაც შეუძლიან, ცდილობს და ფენიელები, თავისს სამზადისს სად ინახავენ, ამას ვერა გებულობს, ვერც იმათგანს ვისმე იჭერს. 26 სეკტემბერს (8 ოკტომბერს) საღამოზედ ერთს ლონდონის ქუჩაში უწესოება მოხდა, ტუსაღების განთავისუფლებას აპირებდნენ.

ფრანცია. ფრანციის სასახლეში დიდი მზადება აქვთ ავსტრიის იმპერატორის მისაღებლათ. რკინის გზაზედ იმისათვის ახალს ვაგონებს აკეთებენ. ამ ვაგონებში ოთხი დიდი ოთახი იქნება, ერთს ოთახს მაუდს აკრავენ, მეორეს სადა აბრეშუმის ფარჩას და მესამეს ზოლებიან აბრეშუმის ფარჩას. მეოთხე სარკეებით და ოქროთი შემკული იქნება. ჯერ კიდევ ნამდვილათ არ იციან ამ დროს მოვლენ, თუ არა ანგლიის კაროლევა და ვიკტორ—ემმანუილი, იტალიის კაროლი. პორტუგალიის კაროლის მამასაც მოელიან 8 (20) ოკტომბერს.

ავსტრია. გადმოვსწერთ ვენის-გაზეთებიდგან ვენის რეიხსტაგის ვიცე-პრეზიდენტის უფ. ზემლიაკოვსკისაგან შედგენილს პროგრამას პოლშის შესახებ: „ჩვენ გვსურს, რომ ავსტრია ძლიერი იყოს, რომ იმან შეიძლოს ახალს პოლიტიკას და სახალხო პრინციპებს გზა მისცეს და განავრცელოს, რომ იმან თავისის სიმაგრით ევროპა დაიცვას რუსეთის მფლობელობისაგან და იმისი აზიურის ბარბაროსობისაგან. საჭირო არის, რომ ავსტრიამ თავისს შინაგანს და გარეგან პოლიტიკას სხვანაირი მსვლელობა მისცეს. ავსტრიას ჰსურდა იტალიაში, პოლშაში და გერმანიაში თავისი მფლობელობა დაეცვა და ამისათვის რუსეთთან მუდამ კავშირი ჰქონდა. მაგრამ ამით იმან ხალხები აიმტერა.

„რუსეთი და პრუსსია ავსტრიას მუდამ მტრობენ. რუსეთი მტრობს იმისათვის, რომ ავსტრიას სლავიანების მაზრები უჭირავს, ხოლო პრუსსია გერმანიის მაზრებისათვის, რომელნიც ავსტრიის სახელმწიფოს ეკუთვნიან. რუსეთი და პრუსია დასავლეთის სახელმწიფოებისათვის საშიში ხდებიან, ამ მიზეზისაგამო ავსტრიამ ეხლა ფრანციასთან და ანგლიასთან უნდა იქონიოს კავშირი. თუ ავსტრიის მმართებლობა გულის წმინდით შეურიგდება თავისს ქვეშევრდომს ხალხებს, მაშინ ის თავისს მტრებს მოაკლებს ღონისძიებას ამ ხალხებში მომხრეები იშოვნონ, ეხლა ავსტრიის პოლიტიკა თავის ხალხებთან დაახლოვებას უნდა ცდილობდეს. ამ პოლიტიკამ ისე უნდა იმოქმედოს, რომ ავსტრიის ქვეშევრდომმა ხალხებმა ავსტრიის სახელმწიფოს სიმთელე ისურვონ, რომ იმათ ირჩიონ ავსტრიის მფლობელობის ქვეშ ყოფნა და რუსეთს ან პრუსსიას არ შეერთდნენ. ავსტრიის კონსტიტუციის საფუძვლათ ხალხების თანასწორი უფლების ქონვა უნდა იყოს. სახელმწიფოში თანასწორი უფლება თვითოეულს პირს და თვითოეულს საზოგადოებას უნდა მიეცეს. იმ სახელმწიფომ, რომელიც ავსტრიის მგზავსათ სხვა-და-სხვა ხალხებისაგან არის შემდგარი, ყველა თავისი ხალხები უნდა დაათანასწოროს. ხალხების თავისუფლების მიცემის დროს, პოლიტიკური თავისუფლებაც მაშინვე უნდა მიეცეს და ეს ორგვარი თავისუფლება სახელმწიფოს განწესებულების საფუძვლათ უნდა შეიქნას. ახალი შენობის დედაბოძათ ლიბერალური განწესებულებანი და ხალხების თანასწორობა უნდა იყოს.“

იტალია. ფლორენციის გაზეთის „Temps“-ის კორრესპონდენტი 5 ოკტომბრიდგან იწერება შემდგომს დაწვრილებითს ამბავს გარიბალდის ხელმეორეთ დატუსაღებაზედ. „გარიბალდი, კაპრერის კუნძულზედ რომ დაატუსაღეს, იმან იქ მმართებლობას არაფერი პირობაები არ დაუდვა და არც შერიგება ითხოვა. გარიბალდის ჰსურდა ტყვეობიდგან როგორმე განთავისუფლებულიყო და ისევ თავისს საქმეს შესდგომოდა; მაგრამ ის, თვითონვე გრძნობდა, რომ იმას თავისუფლებას არ მისცემდნენ. იმ დღიდგან, რაც გარიბალდი კაპრერის კუნძულზედ გაიყვანეს, ცეცხლის გემი „Esploratore“ ამ კუნძულს არ მოშორებია. ის გარიბალდის გამუდმებით თვალყურს ადევნებდა. ამას გარდა, ორშაბათს 1-ს ოკტომბერს, სადილს უკან, კუნძულის მახლობლათ გამოჩნდნენ კიდევ სამი სხვა ცეცხლის გემი: „გულნარა“, „სეზია“ და „პრინცი ლუმბერტი“. მას აქეთ რაც ეს ცეცხლის გემები მოვიდნენ, არამც თუ გარიბალდის მარტო თვალყურს ადევნებდნენ, არამედ იმას ყარაულიც დააყენეს. თუმცა გარიბალდი არ იჭვნეულობდა, რომ იმას არსად გაუშვებენ, მაგრამ იმან მაინც ჯერ პროკლამაცია დასწერა იტალიელებთან, მერმე ნავით ზღვაში შევიდა და იქ მყოფ ლივორნის გემით „ტოსკანით“ ხმელეთისკენ გამგზავრდა, მაგრამ ცოტახანმა რომ გაიარა, ცეცხლის გემმა „სეზიამ“ გზა შეუკრა იმ ნავს, რომლითაც ის მიდიოდა. აქ გარიბალდი ხელმეორეთ დაატუსაღეს. ეხლა აღარ იციან, გარიბალდი ისევ კუნძულზედ გაიყვანეს, თუ თვითონ ცეცხლის გემშია დატუსაღებული. ერთმა „ტოსკანის“ ნავით მოგზაურმა მოიტანა ლივორნოში შემდგომი გარიბალდის პროკლამაცია: „იტალიელებო! ჩვენ ხვალ უნდა დავასრულოთ ჩვენი სახელოვანი რევოლუცია. ჩვენ უკანასკნელი ზარი უნდა ლავსცეთ კირპთ-მსახურების, ფარისეველობის ბუდეს, იტალიის შემარცხვენელს. პაპობა ყოველგვარის მტარვალობის დედაბოძია, მთელი ქვეყნისაგან დაწყევლილია. ეხლა ყველა ხალხს ჩვენკენ უჭირავს თვალი და როგორც მხსნელებს, ისე გვიყურებენ. ნუ თუ ერთი კაცის დატყვევება იტალიას შეაშინებს, თავისს სახელოვანს საქმეზედ ხელს აალებინებს? ჩემი მეგობრების თხოვნით, მე წამოველ შინისაკენ, არავისათვის არაფერი პირობები არ დამიდვია. დამპირდნენ, რომ ხომალდს გამოგიგზავნითო ხმელეთზედ გასასვლელათ, მაგრამ ეხლა ის კაცი, რომლის სახელიც იტალიის სამარცხვინო შეიქნა, თქვენთან აღარ მიშვებს. ვსთხოვ ჩემს თანამოქალაქეებს, რა გზაც თვითონვე ამოირჩიეს, იმ გზას შეურყევლათ და ღირსეულათ მისდიონ, როგორც თავისის შეძლების და სიმართლის მხედველს ხალხს შეჰფეროდს. როდესაც ხალხი და ჯარი ჯავრობდა, რომ მმართებლობა სხვისი მონა შეიქმნაო, სწამებდა მხდალობასა და რომზედ გალაშქრებას ითხოვდა, მაშინ მე ველაპარაკე იმათ, რა რიგათ, ან რა წესით უნდა მოიქცნენ ისინი. მე სალდათებს ვეუთხარ, რომ იმათ შუბები სხვა უფრო სახელოვანი საქმისათვის უნდა შეინახონ, პაპის მოჯამაგირეებისათვის თოფის გაცლაც კმარა. თუმცა ქვეყანას ბოროტება კიდევ ამძიმებს, მაგრამ ჩვენ მაინც ბედნიერები ვართ, ჩვენში თანახმობა დაწესდა: ხალხი, ჯარი და ვოლონტერები ერთძანეთს შეუერთდნენ. ვაი იმას, ვინც ამ ძმებს ისევ გაჰყრის! როდესაც იტალია დაინახავს თავის შვილებს საზოგადო საქმისათვის შეერთებულებს, მაშინ ზოგიერთს ჩვენს ჯარებს აღარ შეეშინდებათ უცხო ქვეყნელების ჩვენ საქმეში გარევისა და იმათი მუქარისა. კიდევ გეუბნებით, რომ როგორც იყოს, თქვენ რომი უნდა გაანთავისუფლოთ. თუ ჩემი თავი დაგჭირდებათ, მაშინ გაისარჯეთ და მე გამანთავისუფლეთ“.

—**ხალხის ყრილობა ტურინში.** 3 ოკტომბერს ტურინში დიდი ხალხის ყრილობა იყო რომის საქმეზედ. ხალხი რვა საათზედ შეგროვდა. ისინი ყვიროდნენ: გარიბალდის გაუმარჯოსო. რომელი კაცებიც ამ შეყრილობაში ლაპარაკობდნენ, ისინი დარწმუნებით ამბობდნენ, რომ მმართებლობა ხალხის ჭეშმარიტს სურვილს დააკმაყოფილებსო და რომს უთუოთ იტალიის სატახტო ქალაქათ დასდებსო. ისინი ამტკიცებდნენ: მმართებლობას უცხოქვეყნელების ჩვენ საქმეში გარევისა არ უნდა ეშინოდესო. პიესტრომ სთქვაო, რომ იმ ხალხისაგან დაღვრილი სისხლი, რომელი ხალხიც თავის დაუმოკიდებლობას და თავისუფლებას ეძებსო, არსად არ დაიკარგებაო. როდესაც ეს მოლაპარაკე კაცები იტყოდნენ ხოლმე, რომ იტალიამ რომი უნდა გაანთავისუფლოსო, რადგანაც იმან დიდი ხნის ტყვეობიდგან განთავისუფლება მოიწადინაო, მაშინ ხალხი ალტაცებით ტაშს დაჰკრავდა ხოლმე. ამ შეყრილობაში წაიკითხეს შემდგომი წიგნი, ტურინის პრეფექტთან მიწერილი: „უ. პრეფექტო! ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ სეკტემბრის კონვენციამ ვერ შეიძლო პირველი იტალიის პარლამენტის გადაწყვეტილება შესახებ რომის იტალიის დედაქალაქათ დადებისა დაერღვია და გაეუქმებინა. ამ კონვენციამ სულგრძელთ იტალიის ძეთ ვერ შეუკრა გზა ხელი მიეწოდებინა რომისთვის, რომელიც პაპის უფლებას უარ-ჰყოფს და იტალიასთან შეერთებას ითხოვს. ამისთვის ტურინის მცხოვრებლებმა გულით მოინდომეს, რომ იტალიის ხალხის ხმა მმართებლობამ ჩქარა ისმინოს. გთხოვთ, უ. პრეფექტო, ეს ჩვენი ალტაცებული და შეურყეველი გულის წადილი მმართებლობას მოახსენოთ.

„ტურინი, 3 ოკტომბერს 1867 წელსა, ტურინის მცხოვრებლების მაგიერათ მოქალაქეთ კომიტეტი.“

ეს ადრესი ყველამ მოიწონეს და მერმე ხალხი ისე შეგროვილი კასტელოში წავიდა. თან დროშა წაიღეს. დროშაზედ ეს სიტყვები იყო დაწერილი „ღმერთმან იოსებ გარიბალდის გაუმარჯოს, რომს,—იტალიის დედა ქალაქსა!“ სხვა და სხვა წოდების რაოდენიმე ათასმა კაცმა ერთად შეჯგუფებულმა კარლოფელიჩის მეიდანზედ და ნუოვოს ქუჩაზედ გაიარა და მერმე კასტელოს მეიდანზედ პრეფექტის სასახლეს წინ დადგა. პრეფექტმა დეპუტაცია ალერსით მიიღო და ადრესი ჩამოართო. ხალხმა ხმა მაღლა ერთობ გარიბალდის სახელი აქო და რომი იტალიის დედა ქალაქათ ახსენა.

— გაზეთში „Riforma“ დაბეჭდილია შემდგომი შენიშვნა: რადგან რომში ხალხის ღელვა თან და თან უფრო ვრცელდება, ამისთვის ჩვენ საჭიროთ ვრაცხთ, რომ რომის საქმე ხალხს სწორეთ შევატყობინოთ და ამით ის ცრუ აზრებიდგან დავიხსნათ ამ საქმის შესახებ. საქმე თვითონ რომში იწყება, ღელვა იქიდგან წარმოსდგება. თუ რომ ეს სწორეთ ასე არ იყოს, მაშინ ფრანცია ჩვენს საქმეში არ გაერეოდა. რომაელები ასდგნენ და აი ღელვის მიზეზი ეს არის. იტალიელებს ვალი აქვთ თავიანთ მეომარს ძმებს მიეშველნენ. სეკტემბრის კონვენცია ფრანციამ დაარღვია. ის ჩვენ საქმეში ჯერ შემოტყუებით გაერია და შემდგომ ცხადათ გამოსთქვა თავისი ჩვენ საქმეში გარევა და მუქარა. მაგრამ ჩვენ თუნდ ვალდებულნიც ვყოფილვიყვნეთ სეკტემბრის კონვენცია შეგვეწყნარა და მეორე მხარესაგან იმის დარღვევისათვის არ მი-

გვეხედნა, ეხლა, როდესაც რომაელები ადგნენ და ხალხის ღელვა მოხდა, ეს კონვენცია თავის თავათ გაუქმდა. მხლა იტალიის ხალხი და იმისი მმართებლობა სრულებით თავისუფალია; იმას ვალი აღარა აქვს პაპის საერო მფლობელობის მოსარჩლეებს ყური უგდოს. რომის ხალხის ადგომამ ყველგან მამულის მოყვარული გრძნობა, პატიოსნება და კაცთ მოყვარეობა უნდა გააღვიძოს. რომაელები ასდგნენ და ვაი იტალიელებს, თუ ისინი ხელს არ მიაწვდენენ იტალიის რომთან შესაერთებლათ.

საბერძნეთი. მარსელის გაზეთში „ნეოლოღოს“ იწერებიან ქანეიდგან 1 სეკტემბერს. თემცა ბარბაროსობა ჩვენ აღარ გაგვაკვირვებს, მაგრამ ფრანციის მმართებლობა რომ გულ გრილათ უყურებს იმის ფლაგის ქვეშ რაც ბოროტ მოქმედება ჰხდება, ეს კი ძალიან გასაკვირველია, თუ რა რიგათ დახოცეს მოხუცებულები, დედა-კაცები და ყმაწვილები ფრანციის ფლაგს ქვეშ. 12 აგვისტოს, დილით, ცეცხლის გემი ფრანციის დროშით პატარა ფოდელოს ნავთ-საყუდელში დადგა. შემდგომ იმან მისცა ჩვეულებრივ, სიგნალი (ნიშანი) კანდიელების ცოლშვილის წასაყვანათ. რამდენიმე ასი საცოდავი ადამიანები, რომლებიც ნავთ სადგომის ახლოს იდგნენ და ევროპიელს ნავებს ელოდნენ, მაშინვე ეცნენ ზღვის კიდეს სიხარულით და ჟივილ-ხივილით. მაგრამ ენა ვერ იტყვის, როგორ გაოცდნენ და რანაირი ზარი დაეცათ იმათ, როდესაც უცებ ცეცხლის გემიდგან, რომელზედაც ფრანციის დროშა იყო გაშლილი, ზარბაზნები გამოსტყორცნეს და ყველამ თოფებით სროლა დაუწყეს. იმათ ბედზედ ცეცხლის გემი მოშორებით იდგა და გამოქვაბულებზედაც ახლოს იყვნენ. ისინი მთებს ჩქარა შეეფარნენ და ამისათვის ბევრნი არ დახოცილან. ოთხი დედაკაცი მოკლეს, სამი პატარა ქალი და რამდენიმე დაჭრილი მოხუცებიული. განათლებული ქვეყნის საზიზღარი უნდა შეიქმნას ეს ცეცხლის გემი, რომელმაც ამ გვარი საძაგლობა მოიხმარა და მიტყუებით ძალა მიხდილი და უპატრონო ადამიანები დახოცა. ამ ოსმალეთის ცეცხლის გემს „ზუავი“ ჰქვიან. კრიტის აღმოსავლეთი მაზრების სარეფორმუციო კრებამ ეს საქმე ვიცე-კანცლერს აცნობა ირაკლიონში. ამას გარდა ქანეიაში კონსულებმა ეს საქმე დაწვრილებით შეიტყო ერთი ფრანციელი მოგზაურისაგან, რომელიც ამ ბოროტების შესრულების დროს თვით იმ ხალხში ერია და ეს სამწუხარო საქმე თვალით უნახავს.

მექსიკა. ხუარესისაგან ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მიღება. უფ. ოტტერბურგმა რწმუნების წერილები რომ წაუდგინა ხუარესსა შეერთებული შტატებისაგან მექიკაში თავის ელჩათ დანიშვნის შესახებ, ხუარესმა უთხრა იმასა, შეერთებული შტატების ელჩსა: „მე მუდამ დიდის კმაყოფილებით მიველებ ხოლმე, მაგრამ ეს კმაყოფილება ეხლა უფრო ცხოელდება, რადგანაც მე მესმის, რომ თქვენი მექიკის რესპუბლიკაში ელჩათ დანიშვნა შეერთებული შტატების მექიკის გამარჯვების თანაგრძნობას და სიხარულის გამოთქმას მოასწავებს; შეერთებულ-შტატებს მექიკის თავისის დამოუკიდებლობისათვის და თავისუფალის წესდებულებისათვის ბრძოლისგან გამარჯვებით გამოსელა ამებია. შეერთებული შტატები ყოველგნით ზნეობითს სიმაგრეს გვაძლევდნენ ჩვენგნით დაწყებულს საქმეში, რადგან ის თვითონვე კარგათ ხედავდა, ხალხთა შორის უფლების სხვებისაგან დარღვევას. მექიკის მმართებლობამ შეერთებული შტატების შემწეობა და თანაგრძნობა თავისის ბრძოლის დროს უცხოქვეყნელებთან, დააფასა მეზობელმა რესპუბლიკამ თავისის დიდების და კეთილ-მდგომარეობით დაამტკიცა იმ პოლიტიკის უმაღლესი სიმართლე, რომელი პოლიტიკაც ერთ მმართებლობის ვალათ ამასაც რაცხავს, რომ ის უცხო ქვეყნელების საქმეში არ უნდა გაერიოს, თუ კაცობრიობის უფლებას პატივსცემს. გმადლობთ თქვენ მეხიკის ხალხის კეთილდღეობის ნდომისათვის და კეთილმიდრეკილობისათვის მისდამი. დიდათ ვიმედოვნებ, რომ თკვენ შემწეობას მოგვცემთ მეხიკის მმართებლობა შეერთებული შტატების მმართებლობასთან ძლიერ დავაახლოვოთ და ამით მკვიდრი მეგობრობა დავამყაროთ იმათ შორის, რადგან ეს მეგობრობა ორივე მხარესათვის სასარგებლო იქნება.“—

ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

ვენა, 2 (14) ოქტომბერს. გაზეთში „Montagsblatt“ სწერენ: ვენის სახალხო რჩევის დეპუტაციამ დღეს მისცა ავსტრიის იმპერატორს, ოქცდა ხუთი ეპისკოპოზი რომ გამტყუნეს, იმის წინააღმდეგი ქალალდი.

ავსტრიის იმპერატორმა ვენის სახალხო რჩევის დეპუტაცია დიდი მოწყალებით მიიღო, გამოუცხადა, რომ ამ ქალალდს სამინისტროში გადავსცემო. მერმე სახალხო რჩევის მადრიელობა სთქვა, რადგან ეს რჩევა ცდილობს ხალხის სწავლის და განათლების გაუმჯობესობას. აგრეთვე ის დარწმუნებით ამბობდა, რომ ვენის სახალხო რჩევა სახალხო სასწავლებლებზედ და მასწავლებლების განვითარებაზედ სარწმუნოების გავლენას არ შეავიწროებსო.

ფლორენცია, 30 სეკტემბერს (12 ოქტომბერს). რომის ჟურნალში სწერენ, რომ ტორრე—ალფონში და პუო-რონში ბევრი გარიბალდის მომხრე თაბუნები შეგროვდნენ. ათასი გარიბალდის მომხრე ქალაქს ნერლოს ხელმეორეთ შეესივა და მცხოვრებლებს საზრდოების თხოვნა დაუწყო. იმათ დასამარცხებლათ პაპის ჯარები გაგზავნეს.

გარიბალდიმ თავისს პროკლამაციაში რომლებთან გამოაცხადა, რომ ადგომილების წინამძღომელობა ჩემს შვილს, მენოტის აქვს მინდობილიო.

ფლორენცია. 2 (14) ოქტომბერს. ინსურგენტები მენოტი გარიბალდის წინამძღომელობით პაპის ჯარს-ზუავებს შეებნენ მონტე-მაჯორესთან და შემდგომ სასტიკის ბრძოლისა ზუავები ძლიერ დაამარცხეს. ზუავები, ვისაც როგორ მოხვდათ, გაიქცნენ და ძლიერ დაზარალდნენ, ბევრი კაცები დაეხოცათ.

კოსტანტინეპოლი, 2 (14) ოქტომბერს. ოსმალეთის მმართებლობამ მისწერა ბძანება, რომ ეპირში და თესალიაში რედითების (სალდათების) მოკრება, ასე რომ ასს მცხოვრებზედ თხუთმეტი კაცი მოვიდეს. პორტა საომრათ ემზადება, რადგან სერბიის ეხლანდელი მოქმედება იმისათვის საშიშარი ხდება.

თფილისში მიღებული.

პეტერბურგი, 13 ოქტომბერს ელლინელი (ბერძნების) კაროლის ჯვარის წერა დიდს მთავრინას ოლგა კონსტანტინეს ასულზე არის 15-ს ოქტომბერს დანიშნული. დანიის მემკვიდრე მოვიდა პეტერბურგს 8 ოქტომბერს. გენერალ-მაიორს ტოლსტოვს ებოძა ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენი 8 ოქტომბერს. ფლორენციაში ახალი სამინისტრო კაბინეტი დაარსდა და იმის თავათ გენერალი ჩიალდინია. გარიბალდი ქაპრერიდგან წავიდა და სად არის, არ იციან. პარიჟის "საღამოს მონიტორი" აცხადებს, რომ ფრანციის მიპატიჟებით იტალია ეპირებს გულმაგრად აღასრულოს სეკტემბრის კონვენცია. ტულონში რომ ხომალდებში ჯარი ჩასხეს ისევ უკან მოაბრუნეს და ზღვის პირად გამოსხეს. ეს ჯარი ტულონში დაებარგა. 11-ს ოქტომბერს აესტრიის იმპერატორი პარიჟს მიეიდა.

ვაი ჭკუისაგან.

ს.. როლი თანაშემწეობისა კარგათ აასრულა. შემდეგ თავის საქმისა იმან დაიარა მთელი სოფელი და უთხრა თავის სოფლელებს, რომლებსაც აბრეშუმი არ მოსდიოდათ, რომ მკითხავი მათ ჰპირდებათ იმათ მამულებშიაც ჩადგმული და შეჩვენებული მეზობლისაგან ძიები იპოვოს, თუ რომ ისინი მას მოხსენებულ ფასს მისცემენ. მრავალი თურმე თანახმა არ ხდებოდა, მაგრამ თანაშემწე თურმე არ ჩამოესხნათ, რადგან მისი თანამდებობა იყო შოვნა ძიების ამოღებინების მოსურნეებისა. მის შეწყობით მკითხავმა ერთ ორმოც კომლის მამულებიდგან, თავისიენ დამალული ძიები თურმე ამოიღო, ოთხი თუმანი ფული გამოართვა პირობისა მებრ, ერთი კაცისათვის კიდე რვა თუმნის ცხენი გამოერთვა, და მეზობელს გადააბრალა, რომ მან შემოგიჩვენაო, რისა გამო მეზობლები ერთმანერთზე გადაკიდებულნი იყვნენ. ბასაკვირი ეს არის ამ კაცისა, რომ ის სხვას არავის აბრალებდა მის ჩადგმას, მეზობლის მეტს. ამ სახით იმას ერთ ას კომლის მამულიდგან თითქმის ძიები ამოუღია ხუთ ექვს სოფელში.—აბა ახლა იფიქრე მკითხველო, რა ფული შეუგროვებიხარ ჯ... ას კომლიდგან ოთხ ოთხ თუმნობით რომ ვიანგარიშოთ? ჯამი იქმნება 4000 მანეთი.

ჭართული ანდაზაა, რომ „ტყუილის მთქმელს ტყულის კარებამდის მიჰყვებიანო.“ ამ მკითხავსაც სწორეთ ასე მოექცნენ. როდესაც იმან გაახშირა თავისი სიცრუეე, მთელს სოფელში თითქმის მეზობლების შუა ისეთი სიძულილი და მტრობა მოჰხდა, რომ ესენი ახლა კაცს სასიკვდილოთ არ დაინდობდნენ, რადგან ამაებში სარწმუნოების სიძულილი და მტრობაც გაერია (ურალნის ხალხის ნახევარი მუსულმანია და ცხოერებენ ნარეევათ). საქმე რომ ამაზე მიდგა, მე ამ დროს მოვესწარ ჩემს თანამდებობის ასპარეზს. მე ეს ამბავი ძლიერ არ მომეწონა და მტკიცეთ განვიზრახე ცრუმორწმუნეობისა გამო მომხდარი ხალხის აღრეულება მომესპო. მადლობა ღმერთს ამ საქმეში ჩემი ბედიც დამეხმარა. ჩემს მოსწრობამდე ორს თუ სამს კაცს ექვი აელო მის გულთმისნობის ნიჭში. როდესაც იმას აუღია მიწიდგან ქილები, ზოგიერთს მამულის პატრონს კარგათ გაუშინჯავთ, რომ რა არის ვიცნათ ვისი არისო და ამასთანავე გაფრთხილებით მიუღიათ. ამ გამოძიების ნაყოფი ის ყოფილა, რომ ზოგი ქილა მაწვნიანი დჰხვედრიათ, ზოგი კიდე რუის (წყლის) პირს ყოფილა ჩადგმული, მაგრამ მათში წყალი კი არ ჩასულა, რომელიც არ უნდა მომხდარიყო, რადგან პირები მაგრა არა ჰქონიათ დაცული; ამასთანავე ნახევარს მტკაველის სიღრმეზე ყოფილა მიწაში. მე რომ ესეები კარგათ დამტკიცებით შევიტყე, მაშინ მეც დავიწყე ხალხში დამტკიცება, რომ გულთმისნობას ღმერთი არავის მისცემს, გულთმისანი მხოლოდ ის თვითონ არის. ამ გვარათ ექვში მოსული ხალხი, რასაკვირველია, ისე არ გაუშვებდა ამ საქმეს, არ ჩაჩუმებდა, რომ რამე არ მოეხდინა. ამ დროს გულთმისანს მკითხავს მტერმა ღამით სახლები დაუწვა და ერთი ხარიც მოჰპარა, და ამით მან დაამტკიცა და დაჰცინა მის გულთმისნობას. ამ შემთხვევით მე ვისარგებლე და დავიწყე ლაპარაკი ხალხში, რომ თუ ის მართლაც იცნობს უცნაურს, რატომ ვერ შეიტყო, ვინ დაუწვა სახლები და ვინ გამოაცალა ხარი. ამაებმა ხალხი დააჯერა, რომ ჯ.. მართლაც ტყუოდა. მის გაჭირვების ტალკვესი ტყუილი და ყალბი გამოდგა. ქართველ ხალხს ტყუილათ ხომ არ უთქვამს, რომ „ტყუილს მოკლე ფეხები აბიაო.“

ხალხმა მიცემული ფულების მკითხაობაში ჯ... ისათვის ახლა უკანვე თხოვნა დაუწყო. ერთ დღეს შეგროვდა ჯამაათი ამ საქმის თაობაზე და დაიბარეს ისიც სოფ. ურალანში. მე გავხდი კრების დედა-ბოძი. მე მსურდა ეს კაცი მენახა და გამემტყუვნებინა. ხალხი ორ პარტიათ გაიყო და დაიწყეს ერთმანერთში ბაასი. პირველს შეადგენდა ისა, რომლის მოთავე მე ვიყავ; მეორეს—ისა, რომელშიაც ორი ურალნის მოლაც ერია. მკითხველო, ნუ იფიქრებ, ვითომც ქრისტიანები და მაჰმადიანები გაცალკავებულიყვნენ: ესენი ერთმანერთში ნარევნი იყვნენ. ჩვენმა წინააღმდეგმა პარტიამ თავის მოთავე მოლებით სთქვა: თავი დავანებოთ, რაც მომხდარა, მომხდარა, ახლა რა უყოთ იმ უბედურის შვილს, ის ფულები იმისათვის ვითომც სამადლოთ გვიჩუქებიაო. ჩვენმა პარტიამ კი უარი სთქვა და თანაც დააყოლა, რომ თუ ის მართლაც გულთმისანია, მოვიყვანოთ ერთი მამბალი (ინგილურია, ქართულათ: მაკე) ფური და მაგან გამოიცნოს—ეს ფური მამალ ხბოს მოიგებს, თუ საფურეს, და როდესაც იტყვის, მერე გავჭრათ ენახოთ: თუ ამაზე თანახმა არ გახდება, მაშ ახლა ჩვენ დავმალოთ ძიები და თუ იმან ეხლაც იპოვა, ალალი იყოს მისთვის ჩვენი ფულები. ჩვენ წინააღმდეგ მხარეს ერთის მხრით იმისათვის ჰსურდა თავი დაენებებინა და არაფერი მოეკითხნა, რომ ხალხმა კაცი შუაზე არ გაგლიჯოსო, როდესაც ის ვერ გამოიცნობს დამალულ ძიებს; მეორეს,—რომ დაეფარა ს. დ... რომელიც, როგორც ზემოთა ესთქვით, მკითხავის ამხანაგი იყო, ხალხის ყვედრებისაგან და გამოეხსნათ სასოფლო ჯარიმისაგან. მაგრამ იქნება ამათ ქრთამიც ალაპარაკებდა, რომელიც აქაურ სოფლების ხალხებში ხშირია და მომხრე პირთაგანაც გასაკვირი არ იყო. ჩვენმა პარტიამ თავისი სიტყვა გაატარა. ბაუწყრა ჯ.. ღმერთი: ყველამ გადასწყვიტა, რომ ისევ ძიები დაემალათ და მას გამოეცნო. ბაგზავნეს ექვსი სანდო კაცი, და იმათ ექვს ალაგას ერთმანერთისაგან დაფარულს ალაგას დამალეს, და უბძანეს მკითხავს, რომ ის წასულიყო და ეპოვნა. ის დაუყოვნებლივ თანახმა გახდა და დამუქრებით წარმოსთქვა, რომ ის იპოვის და მათგან ორ იმდენ ფულებს აიღებს, რაც წინათ აიღო და თუ მათ არ მისცეს, უთუოთ იჩიენებს. ამისმა გამბედაობამ ხალხი შეაფრთხო. ჩვენმა წინააღმდეგმა პარტიამ მაშინ უფრო დაიწყო ხვეწნა, რომ ამ განზრახვისათვის თავი დაგვენებებინა. მაგრამ ზოგიერთმა სოფელში მიღებულმა პირებმა, ღმერთმან უშველოთ, ჩემი რჩევა გაიგონეს, მიიღეს ჩემი მხარე და მე ჩემი სურვილი აღვასრულე. მკითხავმა აქვე თვალებზე კრიალოსანი გაიცლო და თვალები მაგრა დაიხუჭა. რამდენიმე წამის შემდეგ ამან თვალები აახილა და გულ-დაჯერებით სთქვა: „მე ანგელოზები ნებას არ მაძლევენ, რომ ეს დამალული ძიები დღეს ვიპოვო; მე სამ დღის შემდეგ, პარასკევს, მოვალ და მაშინ ამოვიღებო.“ რათ გადასდვა იმან ეს საქმე შემდეგისათვის, აბა მკითხველო შეიტყე? მაგრამ ჰგონებს შენ არ შეგაწუხო და მევე გიპასუხო მიზეზი. იმან კარგათ იცოდა, რომ ვერაოდეს ის ვერ გამოიცნობს, თუ იმას თვალით არ უჩვენეს, სადაც ისინი დამალულები არიან. ამისათვის, ჩემის აზრით, ეს საქმე ეხლა არ გადასწყვიტა, რომ იმედი ჰქონდა ურალანში მცხოვრებს ს...ზე, თავის თანაშემწეზე, რომ ის იმ პირებს, რომელთაც დამალეს ძიები მისთვის უცნაურს ალაგას გამოჰკითხავს, და მერე მივა და მას ეტყვის; ან არა და იმ ექვს კაცთაგან ვინმე ქრთამს დაჰხარბდება და ამ დროების განმავლობაში მივა და მას ეტყვის. (რასაკვირველია, რომ ის მთხრობელს ფულებს მისცემდა და უამისოთაც მას არავინ ეტყოდა). იმას ამტკიცებს ჯერ ხალხის შიში, რომელიც ამბობდა, რომ მას ამ ექვს კაცთაგან ვინმემ არ უთხრასო; მერე ისა რომ, ის დანიშნულ დროს არ მოვიდა. ის მოვიდა მეექვსე დღეს. იმის მოსვლაზე სოფელი შეიძრა: თითქმის დიდით პატარამდე ყველანი მოვიდნენ შესატყობლათ, რით გათავდება ეს საინტერესო საქმე. მაგრამ

ის სასოფლო კრებაში არ მოვიდა, რადგან როგორც გამოჩნდა თუ არ პატარა ბიჭებმა ტალახის გუნდების სროლა დაუწყეს, და ეკლესიის ეზოში შევიდა. აქ ერთი თორმეტი კაცი შევგროვდით და სხვები კი აღარ შემოეუშვით გალავანში. ეს კაცი აქ ძლიერ გულდაჯერებით ამტკიცებდა, რომ ის გულთმისანია და იცის, სად არიან დამალულნი ძიები, მაგრამ თავის საუბედუროთ იმათ ამოღებას ვერა ჰბედავს, რადგან დარწმუნებულია, რომ უორაღნის უჭკუო ხალხი, რომელსაც სოფელში ერთმანერთისათვის ძიები შეუჩევნებია, თუ ახლა მან დაამტკიცა თავისი გულთმისნობა, სისხლს მოახდენს, ერთმანერთს დახოცვენ, და მაშინ ამის პასუხს მე მომთხოვენ, რადგან მე ვიქმნები მისი მიზეზი. მე ვარწმუნებდი, რომ არაფერი მოჰხდება ამ გვარი, ჩვენ ხალხს არ გაეუშვებთ, რომ მან თქვენთვის რამე უსიამოვნო მოახდინოს. იმან ისევ ის აზრი გაიმეორა, რომელიც მე ზემოთა ვსთქვი, მაგრამ იგავით: ერთ ალაგას ორი გუბე რომ იყოს, ერთი წყლისა და მეორე სისხლისა, შენ რომელში ირჩევ ხელის დაბანასა. ამბა ამის წინააღმდეგი მე რა მეთქმოდა? მე მიეხვედი, ის საით მიერეკება თავის აზრს და დავდუმდი. მე მიეხვედი, რომ ამ კაცს თუ პირდაპირ არ ველაპარაკე, საქმე არ გარიგდება. მე შევუდექი იმის საძაგელის საქმეების გარკვევასა და აქედგან დამტკიცებას, რა გვარ სისხლს ახდენდა ის სოფელში მეზობლებს შუა, როდესაც ის თავისგან დამარხულს ძიებს თვითონვე იღებდა მიწითგან და მერე ეუბნებოდა მეზობელს, რომ შენმა მეზობელმა შემოგიჩვენაო. მე გონებაშემოკრეფით მივაგებე კითხვა, რომ თუ მართლაც იმას სისხლის ღვრისა და მთაეროზისა ეშინიან, მაშ რათ ახდენდა ამ გვარ საზიზღარს საქმეებს და მით რათ ჰკიდებდა და აჩხუბებდა მთელს სოფელს? ახლა სოფელში თითქმის ყველანი ერთმანერთს მტრობენ. იმან ეხლა უთუოთ ან უნდა ძიები ამოიღოს დამალულის ადგილიდგან, ან პირდაპირ იკისროს, რომ ის ტყუვის და ვისგანაც ფულები აუღია, ისიც დაუბრუნოს პატრონებს, და თუ არა ამ საათში გავაკერევინებ ხელ-ფეხს და მასზე საჩივრით გავგზავნი ზაქათალაში. ამას შემდეგ, ვგონებ, მას ზაქათალაში გაგზავნისა შეეშინდა, და ამისათვის ყველაფერში გატყდა და ხელწერილიც მოგვცა. აი მის მოცემული ხელწერილი, რომელიც ყველაფერს ამტკიცებს, რაც ჩვენ აქამდის ვსთქვით. „მე სოფ. ლ.. მცხოვრებელი, სახაზინო ყმა, მიქცეული ინგილოთაგანი, ა. ჯ... ამ ხელწერილს ვაძლევ უორაღნის ჯამაათს იმ საქმის თაობაზე, რომ მე 18.... წლიდგან მოტყუებით, ვითომც გულთმისანი მკითხავი ვარო და ვიციო, დავიწყე უორაღანში ძიების ამოღება, რადგან მე შევიტყე, რომ უორაღნის ხალხი ცრუმორწმუნეობისაგამო ძიების ერთმანერთის მამულში ჩადგმით მტრობს, მე ჩვის სიღარიბის მოსაპოვებლათ ვისარგებლე ამით და ფული მოვიგე. რამდენიმე კაცის მამულში მე თვითონვე ისინი დავმარხე, მერე მოვედი და ხალხს ვუთხარი, რომ მე აბრეშუმის ჭიის დამაზარალებელის მტრისაგან მალულს ძიებს ვიპოვიო. ხალხმა ჩემი ნათქვამი დაიჯერა, და მე ვინც ოთხი თუმანი მომცა, ამოვიღე ჩემი დამალული ძიები იმათ მამულებში და მეზობლებს დავაბრალე. მე ამგვარათ იმისათვის მოვიქეცი, რომ მე ვიყავ კაცი საწყალი, ღარიბი, ამასთანავე ვალები დიდი მმართებდა და მოვალეები მაწუხებდნენ; და ეს ეშმაკობა ამისათვის მოვიგონე, რომ სიღარიბისაგან გამოსულვიყო. მე მეგონა ვერ შემიტყობენო, მაგრამ გამიწყრა ღმერთი და მეწია უბედურება, ჩემი ეშმაკობა ხალხმა შეიტყო და მეც გავტყდი და, ვისგნითაც რა ფული ამიღია უარის უთქმელათ, ვიკისრებ უკანვე ყველას დაუბრუნო; და თუ ვინიცობაა ფულები ვერ ვიშოვნე, მაშინ ჩემი მამული ამ ხელწერილის ძალით გაყიდეთ და თქვენი ფულები ჩაიბარეთ.

„რომ ეს ხელწერილი მე მივეცი უორაღნის ჯამაათს, ამის დასამტკიცებლათ ებეჭდავ და ხელს ვაწერ (თათრულათ აწერია). 1866 წ. აპრილის 15-ს. ა. ჯ...

ამას შემდეგ აწერენ ხელს მოწმები, რომელნიც დაესწრნენ. ამათში ურევიან ორი უორაღნის მოლაცა, რომელნიც, ჩემის აზრით, ყველაზე უფრო ცრუმორწმუნენი უნდა იყვნენ. მსენი სხვათა შორის უქადაგებენ თავიანთის სარწმუნოების ხალხს, რომ მოლის გარდა ვინც ყორანის აზრს მთლათ გაიგებს, ის არ ცხონდებაო. ამისაგამო არამც თუ ხალხმა არ იცის მისი აზრი, არამედ მრავალმა მოლამაცა, ზოგიერთის გარდა, ამ მაზრაში არავინ იცის. მე ბევრჯერ მომსვლია ამის თაობაზე უორაღნის მუსულმნებთან ლაპარაკი და მითქვამს, რომ ისინი მათ ატყუებენ, რადგან თვითონ კარგათ იციან, რომ მათი სარწმუნოების დედაბოძი, ყორანი, მხოლოდ ერთმანერთისათვის წინააღმდეგ აზრებისაგან არის შემდგარი. ამისათვის იმათ ეშინიანთ, რომ ამ გვარათ შემდგარი სარწმუნოება რომ შეიტყოს ხალხმა, მაშინ უარს ჰყოფსო; ასე რომ არ იყოს, ისინი თქვენ არ დაგიშლიდნენ მის აზრის შეტყობას და ან რათ იქმნებოდა ცოდვა მისი სიმართლის და სიმტყუენის შეტყობა. ამაზე იმათ აი რა უპასუხნიათ: „ჩვენ ყაბულსა ვართ, როგორც ჩვენ სარწმუნოებაზე, აგრეთვე ჩვენს მოლებზედაც.“ ტყუილათ ხომ არ არის ნათქვამი ანდაზათ: „როგორიც მღვდელი, ისეთიც ერიო, ანუ როგორიც ერი, ისეთიც მღვდელიო.“ აბა რალა ეთქმოდათ იმათ იმის გარდა, რაც საქართველოს მეფემ ბორგ-ასლანმა უთხრა ინდოეთის მეფეს, როდესაც ისინი ერთმანერთს გაებაასნენ: „შვუნურო, უთხრა იმან, შენ მზგავს ხარ იმ თხუნველას თავისა, რომელსაც თვალები არა აქვს და იმის სადგური მიწა ქვეშ არის, ამისა გამო არ იცის მზის ბრწყინვალება და მშვენიერება; კმაყოფილია ის თავის ცხოვრებისა, რადგან ჰგონია, რომ სხვათა ცხოვრებაც ამ გვარი უნდა იყოსო, რა გვარს ცხოვრებაშიაც თვითონ არის, და ამ მიზეზისა გამო იმას არა ჰსურს ხილვა ნათლისა, ცის და ქვეყნის მშვენიერების შეტყობა.“ აგრეთვე გაუგებარი არიან მაჰმადიანი ინგილოები. აბა ამის შემდეგ იმ კაცთან რას გააწყობთ, ვისაც თავისი ცხოვრების, გონების, ხასიათის და ჩვეულების განახლებას, გაუმჯობესობას არა ცდილობს; არა ჰსურს შეიტყოს სხვათა ცხოვრება და ჭკუა-გონება, მერე შეუფარდოს თავისას, და შეიტყოს ვისი კარგია და ვისი ცუდი. არაოდეს არ შეიძლება, რომ კაცმა ძალათ კაცს ჭკუა და განათლება ჩაუდვას გულში.

ჯ... აშლილი საქმე მის ხელწერილით არ გათავდა. ამისთვის მე შევუდგები ახლა იმის აღწერას, რაც ამის შემდეგ უორაღნის ხალხმა მოახდინა.

დაიჯერა ხალხმა, რომ ძიების მავნებელი ძალა აბრეშუმის ჭიისათვის ტყუილი ყოფილა, თუ არა? რომ მათ როგორათაც მკითხავს არ შეეძლო გულთმისნობა, აგრეთვე არც ამათ შეუძლიანთ არაფერი ზარალი მისცენ კაცს და აბრეშუმის მოსავალს? თქვენ ნუ მომიკვდეთ, მკითხველო, რომ ხალხს სრულებითაც არ შეებღერტოს ყურები. უველანი იმას ამბობდნენ, რომ უველამ ვიცით ის ტყუვისო, მაგრამ ძიები მართალიაო: ისინი დიდს ზარალს აძლევენო და ცოცხალნიც არიანო. მე ბევრი ველაპარაკე ხალხს, ვერას მხრით ვერ დავარწმუნე, რომ ისინი სცდებიან. მაგრამ როდესაც მე ვკითხე, რომ ადამიანტს რკინის მიმტაცები ძალა აქვსო, და მაშ თქვენის აზრით, ესეც ცოცხალი უნდა იყოს, თუ არაო? მაშინ ზოგმა დაამტკიცა, ზოგმა კი უარი სთქვა. ამ მცირედმა წარმატებამ მე ისე გამახარა და წამაქეზა, რომ მეორე მაგალითიც ვუთხარი ხალხს. აი ეს მაგალითიც: თქვენ ხომ ამბობთ, რომ ძიე ცოცხალიაო, და ამის სიცოცხლესაც იმით ამტკიცებთ, რომ იმას ცერ თითის ფრჩხილზე დაიდებთ და ზედაც მეორე ცერ თითის ფრჩხილს დააჭერთ, მერე შეუსტვენთ, თუ ის შემოტრიალდა თითზე, მაშინ უთუოთ იტყვით რომ ის ცოცხალიაო და შეუძლიან ჭია ძლიერ დააზარალოსო. აბა ასე ქათმის კვერცხსაც მოექეცით, თუ ისიც არ შემოტრიალდეს. ჩემს გასამტყუნებლათ იმათ ის აქვე გამოსცადეს და ჩემი სიტყვა გამართლდა. მაშინ მე კიჟინა დავეცი: აჰა, როგორ ნახეთ, ჩემი სიტყვა მართალი გამოდგა თუ არა? მაშ კვერცხსაც შეუძლიან, თქვენის აზრით, ჭიისათვის ზარალის მიცემა. ხალხს გაუკვირდა მის შემოტრიალება და არ იცოდა, რით აეხსნა ეს საქმე. მე მაშინ ვუთხარი, რომ აქ არაფერია გასაკვირი: მას თანასწორობა ეძლევა ცერ თითის ფრჩხილზე და მას ნიავი ხან ერთ მხარეს ატრიალებს, ხან მეორეს, უფრო ამისათვის, რომ კვერცხი და წერტილი მისი დაბჯინებისა ისეთი ამუარნი (*) არიან და ამასთანავე ზევითი ცერი თითის ფრჩხილი ისე სუბუქათ აწევება ზევიდამ, რომ მას ჰაერი ადვილათ ატრიალებს ხან აქეთ, ხან იქით.

მაგრამ სწორეთ უნდა მოგახსენოთ, რომ ინგილოებში კაცი დარიგებით ვერას გააწყობს. რომ ინგილო მხოლოდ ერთად ერთი, ვიდრე განათლდებოდეს, დაცინვით მოიშლის თავის ცუდ ზნეს, ამას ამტკიცებს ისა, რომ იმას რცხვენიან და მაჰმადიანების დაცინვისა ეშინიან და ამისთვის არ ნათლდება. მგონებ, მოლტერმა სთქვა, რომ საზოგადოებას ხანდისხან ისეთი მდგომარეობა აქვსო, რომ იმის იმ მდგომარეობიდგან მხოლოთ დაცინვით შეიძლება ცუდის ზნეობიდამ გამოხსნაო. ამისათვის მე დარიგებას, გონიერულს სიტყვას, მივაყოლე იმათ ცრუმორწმუნოების დაცინვა. მე საცა ინგილოები რიგიან ხალხში შემხვდა, მათ დავცინე მოხსენებულ ცრუმორწმუნოებაზე და თანაც დავაყოლე, რომ ეხლა ჯ—ზე უფრო უკეთესი გულთმისანი გამოჩენილა ისევ სოფ. ლალაფაშაში და ვინც ათ თუმან ფულს მისცემს იმის მამულიდგან მავნებელ ძიებს ამოიღებს, თუ არა და—არა. ამათ მე ზაქათალაში ერთ შვიდ ალაგას, როდესაც ესენი ჩემთან იყვნენ ჩინოვნიკებთან და აფიცრებთან, დავცინე. ამ დროს ამათ ისე რცხვენოდათ, რომ პირის სახე სირცხვილით, როგორც ჭარხალი, ისე უწითლდებოდათ ხოლმე, რადგან ამათში ამ პირებს დიდი პატივი აქვთ და ჰგონიათ, რომ ისინი ძლიერ ჭკვიანნი არიან. ამისა გამო იმათ ძლიერ სწყინდათ. უელებს იჭრიდნენ, როდესაც ამ ცრუმორწმუნოებას ვაცხადებდი ხოლმე იმათთან. „როგორათაც გსურდეს ისე დაგვცინეო, ჩვენ შენი ვართო, ოღონდ კი ე მაგ ჩინოვნიკებთან ნურას გვეტყვიო: ჩვენ მაგათი გვრცხვენიანო.“ ამისი მუდამი ჩემი პასუხი ის იყო: მაგათგან რათა გრცხვენიანთ, თქვენი ცრუმორწმუნოებისა უნდა გრცხვენოდეთ. ალბათ ეგ ცრუმორწმუნოება ძლიერ წინააღმდეგია კაცის ბუნებისა, და ამისათვის თქვენ სვინიდისი გწვავთ. ცუდი საქმისათვის სვინიდისი კაცს ყოველთვის შეაწუხებს; და მე ამ გვარ საძაგელ და საზიზღარ საქმების გამო თქვენთვის დაცინვას ვიდრე არ მოვიშლი, ვიდრე თქვენ მაგეებს არ მოსპობთ. „დ.გვცინეო რა, თქვენც ჩვენში ხომ გაგრევითო, რადგან ინგილო ხართო და ჩვენ რა გვენაღვლებაო, თუ თქვენ არ შეგრცხვებათ, ჩვენც ფიქრი არა გვაქვსო, თქვენთან გაეძლებითო.“ მე ეს იმათი შეწუხება დაცინვისათვის ძლიერ მიხარიან, რადგან ჩემის აზრით, ამაში ვხედავ იმ ნაპერწკალს, რომ ისინი მოიშლიან. სირცხვილი და შეწუხება ყოველი ცუდ საქმეების დაშლის დასაბამი არის. ეს აჩვენებს, რომ ინგილოს გონება ისე ძლიერ არ არის შეკრული ცრუმორწმუნოებით, რომ იმან ის არ დაიშალოს. მხოლოდ ცოტა განათლება, გონების გახსნა უნდა იმას, რომ ეს მოიშალოს. ამას ამტკიცებს ისა, რომ, როდესაც მე იმათ ყოველგან დავცინე ლეკებთან, თათრებთან, რუსებთან, ქართველებთან და სომხებთან, როდესაც კი ენახავდი ხოლმე იმათ ჩემს ნამყოფ ალაგს, მრავალმა იმათგანმა თავიანთ შორის ლაპარაკში სთქვა, რომ ძიების მავნებელი თვისება ტყუილი არისო. ამ გვარათ ცრუმორწმუნოება თითქმის მთელს უორაღნის ოფ. ხალხში შერყეულ იყო.

მაგრამ ჩემდა საუბედუროთ გამოჩნდნენ ისეთი კაცები, ს. უორაღნის მოლები, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ თუმცა ჯ... გაპლუტდაო და ხალხი მოატყუვაო, მაგრამ ძიების მავნებელი ძალა აბრეშუმისათვის უეჭველიაო. ჩვენი სოფელი თუ არ გაეასწორეთ, უთუოთ უველანი დავიღუპებით. ვისაც ძიები აქვს უნდა გამოიტანოს ჯამაათში და ჩვენ ისინი ან მოვხარშოთ ან დავამტერიოთ, რომ აბრეშუმის მოუსველელობა მოისპოს. ვინც კიდევ იტყვის, რომ ისინი არა მაქვსო, იმან ფიცით უნდა დაგვიმტკიცოს იმათი უქონლობა. აი რამდენი ხანია, რაც ჩვენ აბრეშუმი არ მოგვდის და რაში ვართ დაშნაშავე, რომ ჩვენ სოფელი ასე გვაწუხებს. შემდეგში უველამ დავიფიცოთ მუსულმანმა ყორანზე, ქრისტიანმა სახარებაზე, რომ იმათ ჩვენ აღარ ვიქონიებთ და არც სხვა რითამე ეშმაკობით ერთმანერთს ვუმტროთ“. რასაკვირველია, ხალხი მოლებს უფრო დაუჯერებდა, ვიდრე მე, რადგან იმათ მოუპოვებიათ ხალხის რწმუნება თილისმების და ჯადოების წერით; აბა მე, უბრალო მომაკვდავი რას მოვახდენ ამ გვარს იმათ (ხალხის) სასარგებლოთა. ამ სულის მტრებმა, როგორც ქართველები იტყვიან ხოლმე, იმდენი ქმნეს, რომ ხალხი ხელმეორეთ არიეს და დაარწმუნეს, რომ ძიების მაენებლობა მართალია. ამისა გამო მთელმა სოფელმა დაიწყო ძიების ძებნა და გამოკითხვა თავიანთ შორის, ვისა აქვს ისინი და ვის არაო. ბევრი შეიტყეს და გამოაჩინეს, მაგრამ იმისთანაებს, რომელნიც ღარიბნი იყვნენ. ამისა გამო სთქვეს, რომ სოფელში კომლად ერთმა კაცმა უნდა დაიფიცოსო, რომ იმათ სახლში ამ ჟამათ ისინი არცა აქვთ და არც იქონიებენ ფიცის შემდეგო. ხალხი ფიცზე გასვლისათვის მოემზადა და აი ამ დროს მრავალმა უარი სთქვა ფიცზე, ვითომც იმისთვის, რომ ფიცი ღვთის ხმალი არის და იმას ქვეშ ხალხის ჩაგდება კარგი არ იყოს. მაგრამ ამ ბაასის ბოლო მაინც ის იყო, რომ ფიცი გამართლდა და ხალხი გავიდა მინდორში, რადგან, იმათ აზრით, პარკის ჭიების დროს ფიცი სოფელში აბრეშუმის მოსავლისათვის მავნებელი არის.

სხვაფრივ ვფიქრობდი ამ საქმეზე მე. ხალხმა ეს არ იცოდა და ამისთვის მთხოვეს, რომ მეც ქრისტიანები დამეფიცებინა. მე ცივი უარი წარმოვსთქვი, რადგან ვფიქრობდი იმათ ფიცის მოშლას. მაღლობა ღმერთს, განზრახვაც ავასრულე. მოლებმა ყორანი კიდეც გაიტანეს მინდორში. მე არ წავედი. ამაზე ხალხი ძლიერ შეწუხდა. ბევრი მეხვეწეს, რომ იმათ სურვილზე დავთანახმებოდი; მაგრამ მე მაინც ერთ უარზე ვიდექი და ვეუბნებოდი, რომ იმათ ამ საქმის თაობაზე ნება დართვა მოეტანათ ადგილობრივის მთაეროზისაგან. ამ უკანასკნელს ჩემ თხოვნაზე ხალხი უფრო შეწუხდა, რადგან ამ გვარ საქმისათვის ფიცის შეტყობინება ძლიერ ეთაკილებოდათ. იმათ ველარაფერი გააწყეს. ამისათვის ფიცი თიბათვისათვის გადადვეს, რადგან ამ დრომდე აბრეშუმის მოსავალიც გათავდება და მთაეროზისაგან ქალალდსაც მოუტანენ ადგილობრივს მღვდელს, რომელიც ასე ჯაბრში ჩაუდგათ და არ დააფიცათ. ამ დრომდე მეც ნაიბთან საქმე ისე წავიყვანე, რომ იმან არც ნება მისცა სოფელს და კიდეც საშინლათ დასცინა, რისა გამო ხალხი მერე თვითონვე იცინოდა. ამ გვარათ ეს საქმე 1865 წლიდგან დაწყებული 1867 წლის თიბათვეს მოიშალა.

თუმცა ძიები, რომელნიც ცრუმორწმუნოებისა გამო სოფელში ვისაც ჰქონდა მოაგროვებს და ნაცრათ აქციეს, მაგრამ აბრეშუმი წლეულს არამც თუ ყორაღნელებს არ მოუვიდათ, არამედ მთელ ზაქათალის მაზრელებსაც. ამისა გამო მაზრაში წლეულს ივნისში ხელმეორეთ თესლები გამოიყვანეს, როდესაც პირველი წახდა (ეს თესლები იაპონიდამ არიან მოტანილნი), და ძლიერ კარგი მოუვიდათ, ვინც აიღო, თუმცა კი ძიების ერთი რიგობა დაამტერიებს, მეორე კი ისევ არსებობს.

ინგილო.

1867 წელსა,
8 აგვისტოს.

(*) ეს სიტყვა ინგილურია და რუსული სიტყვის полированный თანასწორ აზრს ჰხატავს.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го октября 1867 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.